

მიკროსასესხო ორგანიზაციების შესახებ

საქართველოს კანონის პროექტის

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტის შექმნის წინაპირობები, აუცილებლობა და მიზანი

საქართველოს ეკონომიკა 1997 წლიდან დადმაგლობას განიცდის. ეს ტენდენცია უცვლელია 2002 წლის I კვარტლის მაჩვენებლების მიხედვითაც. კრიზისი ღრმა და სერიოზულია. მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ოფიციალურად დადგენილ ზღვარზე უფრო ნაკლებ შემოსავლებს იღებს. უაღრესად მწვევეა უმუშევრობის პრობლემა. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ არ არსებობს უმუშევართა სტატისტიკის სანდო მაჩვენებლები. ასევე მეტისმეტად ბირობითია ზღვარი დასაქმებულთა და უმუშევართა კატეგორიებს შორის. თუ უმუშევრობას დასავლური კრიტერიუმებით განვსაზღვრავთ, უმუშევართა ხვედრი წონა სამუშაო ძალის მიმართ 30 პროცენტს გადააჭარბებს, რაც ყველა თვალსაზრისით კრიტიკული მაჩვენებელია.

დღეისათვის სახელმწიფოში არ არსებობს დასაქმების ერთიანი, კარგად გააზრებული სახელმწიფო პროგრამა. ასევე არ არის განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. შედეგად, სახელმწიფოს მხრიდან პროცესები ეფექტიანად ვერ იმართება და პროცესები თვითდინებით ვითარდება. ამ ფონზე ლოგიკურია, რომ მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილი თავად ეძებს მდგომარეობიდან გამოსავალს და ირჩევს თვითდასაქმების გზას.

თვითდასაქმება კარგი არჩევანია, მაგრამ შედეგები ბევრად უფრო ეფექტიანი იქნებოდა, ასეთი არჩევანი სპონტანურის ნაცვლად კარგად გათვლილი და გააზრებული რომ იყოს. ეკონომიკურ თეორიაში აღიარებულია, რომ მოსახლეობის სულ 8-10 პროცენტს აქვს ბიზნესის წარმატებით ორგანიზებისა და გაძლიერების უნარი. მოსახლეობის ამ ნაწილის გამოვლენა და მათთვის ხელის შეწყობა საკუთარი ბიზნესის დაწყებაში, პროცესების სწორი და სტაბილური განვითარების წინაპირობაა. ამჟამინდელ გარემოში საინვესტიციო ფინანსურ კაპიტალზე (მათ შორის სასტარტოზე) ხელმიუწვდომლობა ბიზნესის დაწყების, და ზოგადად ეკონომიკური ზრდის, ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია. მიკროსასესხო ორგანიზაციის ის ტიპი, რომლის შექმნისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძველიც უნდა გახდეს წარმოდგენილი კანონპროექტი, მოწოდებულია გამოავლინოს მოსახლეობის შემოსენებული კატეგორია, მიაწოდოს მას საკუთარი ბიზნესის სწორად ორგანიზებისა და გაძლიერებისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და დაკრედიტების ლიბერალური პირობებით უზრუნველყოს ის საწყისი ფინანსური რესურსებით.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს რამდენიმე ასეთი ტიპის (მიკროსასესხო) ორგანიზაცია, რომელთა (არასრული) ჩამონათვალი და ძირითადი მაჩვენებლები ამ განმარტებით ბარათს თან ერთვის. ამ ორგანიზაციების საქმიანობის საზოგადოებრივად უაღრესად სასარგებლო ხასიათის მიუხედავად, დღემდე არ არსებობს მათი და მათი მსგავსი

ორგანიზაციების ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზა ერთგული კანონმდებლობის დონეზე. ერთადერთი საფუძველი რაც მათ გააჩნიათ, ესაა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებები (მაგალითად, საქართველოსა და აშშ-ს შორის), რომლებიც თავისთავად არასაკმარისია მიკროსასესხო საქმიანობის მყარი სამართლებრივი საფუძვლის შექმნისათვის. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ მსგავსი ორგანიზაციების დაფუძნების მსურველი ის დონორები, რომელთა სახელმწიფოსთან საქართველოს ანალოგიური ხელშეკრულებები არა აქვს დადებული, მათი სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი მოკლებულნი არიან მიკროსასესხო დაწესებულებების დაფუძნებისა და ამ გზით საქართველოში თვითდასაქმებისა და დასაქმების პრობლემათა გადაწყვეტაში მათი წვლილის შეტანის შესაძლებლობას. ცხადია, რომ ამ სფეროში ერთგული კანონმდებლობის არქონა ასევე უსპობს ასეთი საქმიანობის წამოწყებისა და დაფინანსების შესაძლებლობებს ადგილობრივ პოტენციურ დონორებს, მათ შორის სახელმწიფოსაც.

მიკროსასესხო ორგანიზაციის არსი და ძირითადი მახასიათებლები

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით მიკროსასესხო ორგანიზაცია არის არასაბანკო-არასადეპოზიტო არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია არასამეწარმეო (არამომგებიანი) იურიდიული პირის, ფონდის ფორმით და მიზნად ისახავს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის, სამუშაო ადგილების შექმნასა და შენარჩუნებას, მათი შემოსავლების დონის ამაღლებას, სიდარობის შემცირებას და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას ფინანსური და სხვა სახის მომსახურების საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ მიკროსასესხო ორგანიზაცია ატარებს სამეწარმეო საქმიანობის მკვეთრად გამოკვეთილ გარეგნულ ნიშნებს (თანხის გაცემა სესხად, თავნის სარგებლითურთ დაბრუნების პირობით), საკითხის სიდრმისეული შესწავლის შედეგად სრულიად აშკარა ხდება, რომ მიკროსასესხო ორგანიზაცია არ წარმოადგენს სამეწარმეო სუბიექტს შემდეგი მიზეზების გამო:

1. მიკროსასესხო ორგანიზაცია არასამეწარმეო იურიდიული პირია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არ ჰყავს მეზაიეები, აქციონერები და მეწილეები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გაინაწილონ ორგანიზაციის წმინდა შემოსავლები, ანუ ამ ტიპის ორგანიზაციაში სამეწარმეო მოგება არ წარმოიქმნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორგანიზაციის შემოსავლების სიდიდის მიუხედავად მიკროსასესხო ორგანიზაციის დამფუძნებელი ამ ორგანიზაციიდან ვერავითარ მატერიალურ სარგებელს ვერ იღებს.
2. მიკროსასესხო ორგანიზაცია ვასცემს რა სესხებს სარგებლის მოთხოვნის პირობით, ერთი შეხედვით აღიქმება ბანკების კონკურენტ სუბიექტად, თუმცა მსესხებელთა იმ კატეგორიას, რომელთაგანაც მუშაობს მიკროსასესხო ორგანიზაცია, საქართველოში მოქმედი არცერთი ბანკი მის კლიენტად არ განიხილავს და საკრედიტო რესურსს არ გამოუყოფს. მითუმეტეს, არცერთი ბანკი არ ვასცემს სესხებს ჯგუფურ მსესხებლებზე გიროსა და თავდებობის გარეშე. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მიკროსასესხო

ორგანიზაცია მსესხებლისაგან ითხოვს გირაოს, მისი უპირველესი მიზანი დაგირავებული ქონებით სესხის უზრუნველყოფა კი არ არის, არამედ მსესხებლისათვის საკრედიტო ურთიერთობათა ელემენტარული წესების პრაქტიკული სწავლება. ამას ადასტურებს ბანკებისა და მიკროსასესხო ორგანიზაციების მიერ გირაოში დატოვებული ქონების ანალიზიც. თუ ბანკები გირაოში დასატოვებელი ქონების ლიკვიდურობის მაჩვენებელს ანიჭებენ გადამწყვეტ მნიშვნელობას, მიკროსასესხო ორგანიზაციებისათვის ქონების ლიკვიდურობის მაჩვენებელი ხშირად არაარსებითია და ისინი გირაოში ისეთ ნივთებსაც იტოვებენ, რომელსაც ბაზარზე შეიძლება ძალიან დაბალი ფასი ჰქონდეს, მაგრამ მსესხებლის მიმდინარე საქმიანობაში ასრულებდეს შეუცვლელ ფუნქციას. ასეთი ნივთის ვალდებულებით დატვირთვის შემთხვევაში მსესხებელს მაქსიმალური მოტივაცია უჩნდება წედმიწვევით დაიცვას სასესხო ხელშეკრულების პირობები, რათა არ დაკარგოს ქონება, რომელიც სესხისთვის დიდ ფასეულობას არ წარმოადგენს, მისი საქმიანობისათვის კი შეუცვლელია.

3. მიკროსასესხო ორგანიზაციის მიზანი და საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები მკვეთრად განსხვავდება სამეწარმეო იურიდიული პირის მიზნებისაგან. მიკროსასესხო ორგანიზაციის მიზანს არ წამოადგენს მოგების მიღება და მისი საქმიანობის შედეგად მიღებული ყველა სახის შემოსავალი ხმარდება მხოლოდ მიკროსასესხო ორგანიზაციის მიზნების განხორციელებას.

უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ტიპის ორგანიზაციათა წარმოშობისა და განვითარების ისტორიაც. პირველ მიკროსასესხო დაწესებულებებს საფუძველი ჩაეყარა 1970-იან წლებში ბანგლადეშში. 1983 წელს ჩამოყალიბდა ბანგლადეშ ბანკგრამენი, რომელსაც ლეშეკ ბალცეროვიჩი თანამედროვეობის ერთ-ერთ სერიოზულ ინსტიტუციონალურ გამოგონებად თვლის. გამოგონების არსი კი სწორედ ის არის, რომ ბანკგრამენი წარმოადგენს ბანკს ღარიბთათვის და ემსახურება მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელსაც ჩვეულებრივი ბანკები არათუ სესხეს არ აძლევენ, არამედ ხშირად შენობაშიც არ უშვებენ. მიკროსასესხო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხების ოდენობა (უაღრესად შეზღუდული), მსესხებელთა კატეგორია (ძირითადად ქალები) და სესხის გაცემის პირობები (უპირატესად ჯგუფური) ამ ორგანიზაციებს გარეგნული ნიშნებითაც კი მკვეთრად განასხვავებს ჩვეულებრივი საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებისაგან.

მიკროსასესხო ორგანიზაციები და სიღარიბის შემცირების პოლიტიკა

ეკონომიკურ თეორიაში დაგას არ იწვევს ის ფაქტი, რომ დასაქმების მაჩვენებლები ყველაზე ადეკვატურად ასახავენ ეკონომიკური პროცესების განვითარების მიმართულებას, მოსახლეობის შემოსავლებისა და კეთილდღეობის ზრდისა თუ დაცემის ტენდენციებს. უმუშევრობის მაჩვენებლის ერთი პროცენტით ზრდა მის ბუნებრივ დონესთან (6-10%) შედარებით იწვევს პოტენციური მოლიანი შიდა პროდუქტის 2,5-3 პროცენტით კლებას, ხოლო თუ უმუშევრობის დონე 15-20 პროცენტს აღემატება, ასეთ შემთხვევაში პოტენციური

მთლიანი შიდა პროდუქტის კლება პროგრესირდება და საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობა ხშირად კრიტიკულ ფორმებს იღებს. საქართველოში, როგორც ეს დასაწყისშივე აღვნიშნეთ, უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებლები რეალობას საერთოდ არ ასახავს, ხოლო დამოუკიდებელ მკვლევართა მონაცემებით კი საგანგაშო სურათი იკვეთება. უმუშევრობის შემცირება და, შესაბამისად, დასაქმების ზრდა ეკონომიკური პოლიტიკის უპირველეს პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული.

ცხადია, რომ ეს პრობლემა გლობალურია და ის ერთჯერადი ღონისძიებებით არ წყდება. მითუმეტეს უტოპიაა გიგანტური პროექტების დაგეგმვა ამჟამინდელი საქართველოს პირობებში. მსხვილი ინვესტიციების მოლოდინი აშკარად მოკლებულია საფუძველს იმ ფონზე, როდესაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მაჩვენებლები კლების მკვეთრად უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება. ამ ფონზე ყველაზე ეფექტიან, რეალურ და სწრაფ შედეგზე ორიენტირებულ პოლიტიკად მცირე ბიზნესის განვითარების წახალისებისა და ხელშეწყობის თანამიმდევრული ღონისძიებების განხორციელება მიიჩნევა, რასაც შედეგად მოსდევს უმოკლეს დროში თვითდასაქმებისა და დასაქმების მაჩვენებელთა საგრძნობი ზრდა.

მიკროსასესხო პროგრამებისა და ორგანიზაციების საქმიანობა ორგანულად თავსდება ზემოხსენებულ ღონისძიებათა კონტექსტში, ვინაიდან ავლენს რეალური ბიზნესგეგმის განმანორციელებელ ადამიანურ რესურსებს დამწყები ინდივიდუალური მეწარმის ან მცირე საწარმოს მენეჯერთა სახით და ოპერატიულად წყვეტს მათი სასტარტო კაპიტალით უზრუნველყოფის პრობლემას. დღეისათვის საქართველოში მოქმედი მხოლოდ 5 მიკროსასესხო პროექტის ფარგლებში დასაქმებულია 22 ათასზე მეტი უშუალო მსესხებელი, ხოლო დასაქმებულთა საერთო რაოდენობა კი აჭარბებს 32 000 კაცს. რომ არა აღნიშნული პროგრამები, უმუშევართა რიცხოვნობა შესაბამისად გაიზრდებოდა. გასათვალისწინებელია, რომ კანონის ამოქმედების შემდეგ დადებითი ტენდენციები კიდევ უფრო საგრძნობი გახდება.

უმუშევრობის მაჩვენებლების შემცირება მიკროსასესხო ორგანიზაციების საქმიანობის პირდაპირი შედეგია, თუმცა ხშირად ეს ორგანიზაციები ბიზნეს-სკოლების ფუნქციებსაც ითავსებენ. ასეთი ორგანიზაციების საკრედიტო ოფიცრები პოტენციურ მსესხებლებთან მუშაობისას ასწავლიან მათ ბიზნესის სწორად დაგეგმვას, რისკების დაზღვევას, ბიზნეს-სამართლის ძირითად ნორმებს და ა.შ., ხოლო ასეთი საქმიანობა საქართველოს სინამდვილეში, სადაც მოსახლეობის ძირითადი ფენა მოკლებულია ეკონომიკისა და ბიზნესის თეორიული საფუძვლების დაუფლების შესაძლებლობას, უადრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა.

არსებული ფინანსური სექტორის მიმოხილვა

ამჟამად საქართველოში სულ 27 ბანკი ფუნქციონირებს. მათი საკრედიტო რესურსი შეზღუდულია. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2001 წელს ჩატარებული გამოკვლევის შედეგების თანახმად საშუალოდ მეწარმეთა სულ 11 პროცენტს მიუწვდება ხელი საკრედიტო რესურსზე, ხოლო მცირე საწარმოებისათვის ეს მაჩვენებელი სულ 6.6 პროცენტს შეადგენს. ამ ფონზე გასაგებია, რომ დამწყებ მეწარმეს, მითუმეტეს, თუ ის სოციალურად დაუცველ ფენას განეკუთვნება და გირაოში დასატოვებელი ქონება არ გააჩნია, ბანკიდან კრედიტის მიღებაზე ფიქრიც კი არ შეუძლია.

მიკროსასესხო ორგანიზაციის მსესხებელი ბანკისათვის მიუღებელი კლიენტია იმის გამოც, რომ მას, როგორც წესი:

- ა) ესაჭიროება იმდენად მცირე ოდენობის საკრედიტო რესურსი, რომ მასზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთით მიღებული შემოსავალი ბანკს კრედიტის აღმინისტრირების ხარჯსაც ვერ უნაზღაურებს;
- ბ) პრაქტიკულად არა აქვს აქტიური საბანკო ოპერაციები, რაც საპროცენტო შემოსავლების გარდა ბანკების დამატებით შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

შესაბამისად, მიკროსასესხო ორგანიზაციის მსესხებელს გირაოდ დასატოვებელი ქონება რომ ჰქონდეს კიდევ, ის მაინც ვერ იქნება ბანკისათვის მისაღები კლიენტი მისი მომსახურების არარენტაბელურობის გამო.

დამწყებ მეწარმეთა სასტარტო კაპიტალით უზრუნველყოფის სფეროში კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა საბანკო ქსელის არათანაბარი გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე. თუ წარსულში საბანკო ქსელი მეტ-ნაკლებად თანაბრად იყო განფენილი, რასაც ძირითადად შემნახველი ბანკის ფილიალები უზრუნველყოფდნენ, საბანკო სისტემის კომპერციალიზაციამ და მკაცრმა რეგულირებამ მრავალი ფილიალის ლიკვიდაცია გამოიწვია. დღეს ყველაზე მეტი ფილიალი საფოსტო ბანკს აქვს, მაგრამ ვერც მისი ფილიალები ვერ უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიის თანაბრად და სრულად მოცვას. ეს პრობლემა ყველაზე თვალსაჩინოდ ვლინდება რეგიონებში პენსიების დარიგების სფეროში, სადაც ამოცანა კონკრეტულ ადრესატამდე თანხის მიტანას არ აღემატება, ხოლო თუ პრობლემას საკრედიტო რესურსების განაწილების ასპექტში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ყველაზე მეტი ფილიალების მქონე ბანკებია კი (იგივე საფოსტო ბანკი, გაერთიანებული ქართული ბანკი, საქართველოს ბანკი) პრაქტიკულად უკრძალავენ მათ რეგიონულ ფილიალებს საკრედიტო წინადადებების მიღებას, განხილვას და, შესაბამისად, დაკრედიტების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ დამწყები მეწარმისათვის სასტარტო კაპიტალის მოზიდვა ბანკის კრედიტის სახით პრაქტიკულად გადაუწყვეტადი პრობლემაა. ასეთ გარემოში კი მიკროსასესხო ორგანიზაციების როლი თვითდასაქმებისა და დასაქმების ხელშეწყობის პროცესში განუზომლად იზრდება და შეიძლება ითქვას, ისინი

შეუცვლელნიც კი არიან. ეს კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებებსაც, რომ მათი ნაწილი დონორთა მიერ განსაზღვრული პოლიტიკით მოქმედებს და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც საბანკო ქსელი არ არის წარმოდგენილი, ან მიზნობრივად მუშაობს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი კონკრეტული ფენის წარმომადგენლებთან (მაგ. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები).

ხელისუფლების პოზიცია მიკროსასესხო ორგანიზაციების ხელშემწყობი სამართლებრივი გარემოს შექმნის საკითხისადმი

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დამოკიდებულება მიკროსასესხო ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის მიმართ კონცენტრირებულად არცერთ დოკუმენტში დღემდე არ ასახულა, თუმცა იმავე საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლებიც ითვალისწინებდა საქართველოს მეგობარი ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოში მიკროსასესხო პროგრამების განხორციელებას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დამოკიდებულება მთლიანობაში პოზიტიურია. ამ დასკვნას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ მოქმედი კანონმდებლობა არავითარ შემთხვევაშიც არ უქმნის აღნიშნულ საქმიანობას, თუმცა არც გამოკვეთილად არ ახდენს მის განსაზღვრებას და არ განუსაზღვრავს სტატუსს, რაც ტოვებს ადგილს მოქმედი კანონმდებლობის ცალკეული ნორმების არასწორი ინტერპრეტირებისათვის, ეს კი შეიძლება სერიოზულ საფრთხეს შეიცავდეს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გავლენიანი ჩინოვნიკი პირადი დაინტერესებით მოისურვებს ასეთი ორგანიზაციებისათვის პრობლემების შექმნას და მათ შანტაჟს. რეზიუმეს სახით შეიძლება ითქვას, რომ მიკროსასესხო საქმიანობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულია, მაგრამ არ არის სათანადოდ დეფინირებული და დაცული კანონის მიერ. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობება ამ კანონპროექტის შექმნა.

დონორი ორგანიზაციების დამოკიდებულება მიკროსასესხო ორგანიზაციებისადმი

კიდევ ერთი არსებითი გარემოება, რასაც საგანგებოდ უნდა მიექცეს ყურადღება ისაა, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკი აქტიურად აწვითარებს სიღარიბის შემცირების სტრატეგიას, რასაც მხარს უჭერენ სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები. ამ სტრატეგიის თანახმად განვითარებად ქვეყნებში მუშავდება სიღარიბის დაძლევის გრძელვადიანი და კომპლექსური სახელმწიფო პროგრამები, რომელთა ჩარჩოებშიც უნდა განხორციელდეს დონორთა მხრიდან აღნიშნული კატეგორიის ქვეყნებისათვის დახმარებების გამოყოფა.

საქართველო დახმარების მიმღები ქვეყნების სიაში იმყოფება და ასევე ამუშავებს სიღარიბის შემცირების სახელმწიფო პროგრამას. მართალია აღნიშნული პროგრამა ჯერ არ

დასრულებულა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ცხადია, რომ მიკროსასესო ორგანიზაციები, როგორც მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის ქმედითი დახმარების აღმოჩენის ნაცადი ინსტრუმენტი, ამ პროცესში აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული. შესაბამისად, რაც უფრო გამართული საკანონმდებლო ბაზა დახვედბა დონორებს, მით მაღალი იქნება მათი მხრიდან დახმარების დროულად გაწევის ალბათობა. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მიკროსასესო ორგანიზაციების მეშვეობით მიღებული დახმარება, როგორც წესი, ატარებს გრანტის ხასიათს, რაც გამოორიცხავს საქართველოს საგარეო ვალის შემდგომ ზრდას.

კანონპროექტის მიღების სირთულეები და ბარიერები

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება და ამოქმედება არ მოითხოვს:

- ა) არავითარ დამატებით ფინანსურ ხარჯებს სახელმწიფოს მხრიდან;
- ბ) ცვლილებებს მოქმედ კანონმდებლობაში;
- გ) ინსტიტუციურ ცვლილებებს.

ერთადერთი ცვლილება, რასაც გამოიწვევს ამ კანონპროექტის ამოქმედება, შემოიფარგლება იუსტიციის სამინისტროს როლის გაძლიერებით მოქმედი ფონდების საქმიანობის მონიტორინგის პროცესში.

ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას გამოორიცხავს წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული სისტი რეგულირება და ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალე ხასიათი. მიკროსასესო ორგანიზაცია წარმოადგენს საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციების მატარებელ იურიდიულ პირს და მისი საქმიანობის გარეგნული ნიშნების სამეწარმეო საქმიანობასთან დიდი მსგავსების მიუხედავად არ არის კომერციული საიდუმლოების შემცველი. ამასთან, დამფუძნებლების, დონორებისა და იუსტიციის სამინისტროს მხრიდან განხორციელებული სისტემატური მონიტორინგი და კონტროლი პრაქტიკულად უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა და ანგარიშგების სრულ გამჭვირვალეობას.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება:

- შექმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს მიკროსაკრედიტო ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირებისათვის, რაც თავის მხრივ შესაძლებელს გახდის ქვეყანაში საინვესტიციო რესურსების მოზიდვას იმ სეგმენტზე, სადაც კერძო კაპიტალს ინტერესი არა აქვს;

- ხელს შეუწყობს აღნიშნული ტიპის ორგანიზაციების კიდევ უფრო გამრავლებასა და გაძლიერებას, რაც ახლო მომავალში ნიშნავს მცირე ბიზნესში ათასობით თვითდასაქმებულსა და დასაქმებულ მოქალაქეს, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში კი ათეულობით და ასეულობით პრაქტიკამიღებულ კვალიფიციურ ბიზნესმენს;
- დასაქმების პრობლემის ნაწილობრივ გადაწყვეტის გზით შეარბილებს მძიმე სოციალურ ფონს;
- სრულად შეესაბამება სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, ვინაიდან დადებით შედეგებთან ერთად არავითარ ფინანსურ, ან სხვა სახის მიუღებელ ვალდებულებას არ აკისრებს სახელმწიფოს.

წარმოდგენილი კანონპროექტი მომზადდა
საერთაშორისო ბრიტანული ორგანიზაცია ოქსფამი-ს
საქართველოს ფილიალის ძალისხმევით.

18 ივნისი, 2002

საქართველოს კანონი

მიკროსასესხო ორგანიზაციების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი

1. ამ კანონის მიზანია მიკროსასესხო ორგანიზაციებთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება.

2. მიკროსასესხო ორგანიზაციების რეგულირებასთან დაკავშირებით წინამდებარე კანონს გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა სხვა საკანონმდებლო აქტების მიმართ.

მუხლი 2. მიკროსასესხო ორგანიზაცია

1. მიკროსასესხო ორგანიზაცია არის არასაბანკო-არასადეპოზიტო არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია ამ კანონით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და წესით და ახორციელებს მიკროსასესხო საქმიანობას ამ კანონის და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

2. მიკროსასესხო ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მიმდინარე დაბანდება ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს საქართველოში კანონმდებლობით განსაზღვრული წლიური საარსებო მინიმუმის სამმაგ ოდენობას.

ბ) მის მიერ გაცემული მიკროსესხების დაბრუნების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს

მუხლი 3. ტერმინების განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დონორი ნიშნავს პირს, რომელიც მიკროსასესხო ორგანიზაციას უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას ან ფულად თანხებს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განსახორციელებლად.

ბ) მიკროსასესხო საქმიანობა ნიშნავს ამ კანონის IV თავით განსაზღვრულ სასესხო და სხვა მასთან დაკავშირებულ საქმიანობას;

გ) მიკრო-სესხი ნიშნავს დაბრუნების, ფასიანობის, ვადიანობის პირობებით და ამ კანონით დადგენილი შეზღუდვების დაცვით, ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომლის გაცემის უფლებაც მიკრო-სასესხო ორგანიზაციას აქვს ეროვნული ბანკის ლიცენზიის გარეშე.

დ) ინდივიდუალური მიკროსესხი არის სესხის სახეობა, რომელსაც მიკროსასესხო ორგანიზაცია გასცემს ერთ პირზე გირაოს, იპოთეკის, თავდებობის ან საბანკო გარანტიის უზრუნველყოფით ან მის გარეშე.

ე) ჯგუფური მიკროსესხი ნიშნავს სესხის სახეობას, რომელიც გაიცემა ერთმანეთთან სოლიდარული პასუხისმგებლობით დაკავშირებულ არანაკლებ ოთხი ფიზიკური პირისაგან შემდგარ ჯგუფზე, სესხის მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე.

ვ) სესხება ნიშნავს მიკროსასესხო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული სასესხო წინადადების განსახორციელებლად თანხების გამოყოფას მიკროსასესხო ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით.

ზ) სესხების პირობები ნიშნავს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, რომელიც არის მიკროსასესხო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

თ) მიკროსასესხო ხელშეკრულება ნიშნავს წერილობით შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც მიკროსასესხო ორგანიზაცია გასცემს, ხოლო მსესხებელი იღებს ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მიკროსესხს.

ი) სასესხო რესურსი ნიშნავს ფულად საშუალებებს, რომლითაც ხორციელდება სესხება.

კ) მიმდინარე დაბანდება ერთ მსესხებელზე ნიშნავს მიკროსასესხო ორგანიზაციის მიმდინარე სასესხო დაბანდების შეფარდებას მიმდინარე კლიენტების მთლიან რაოდენობასთან.

ლ) რისკი ნიშნავს მიკროსესხის არდაბრუნების ალბათობას.

მ) ადმინისტრირების და სამეურნეო ხარჯები ნიშნავს საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტებით განსაზღვრულ ხარჯებს.

ნ) ინსაიდერი ნიშნავს მიკროსასესხო ორგანიზაციის დამფუძნებელსდონორს, გამგეობის, კურატორიუმის წევრს, სპეციალურ წარმომადგენელს, თანამშრომელს, აგრეთვე მათ ნათესავებს

ო) ნათესავი ნიშნავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ პირთა წრეს.

მუხლი 4. მიკროსასესხო ორგანიზაციის მიზანი

1. მიკროსასესხო ორგანიზაცია უნდა ისახავდეს მიზნად მოსახლეობისათვის, სამუშაო ადგილების შექმნასა და შენარჩუნებას, შემოსავლების დონის ამაღლებას, სიღარიბის შემცირებისა და მცირე ბიზნესის განვითარების პროცესების ხელშეწყობას ფინანსური და სხვა სახის მომსახურების საშუალებით.

2. მიკროსასესხო ორგანიზაციის მიზანს არ წამოადგენს მოგების მიღება. მიკროსასესხო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები ხმარდება მხოლოდ მიკროსასესხო ორგანიზაციის მიზნების განხორციელებას.

3. მიკროსასესხო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ მიკროსასესხო საქმიანობას აქვს საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათი და არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას.

თავი II.

მიკროსასესხო ორგანიზაციის შექმნა და ორგანიზაციული სტრუქტურა

მუხლი 5. მიკროსასესხო ორგანიზაციის შექმნა

მიკროსასესხო ორგანიზაცია იქმნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ფონდის ან უცხოური ფონდის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირებული ფილიალის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. მისი შექმნა და რეგისტრაცია ხორციელდება ამ კანონისა და სამოქალაქო კოდექსით ფონდისათვის განსაზღვრული დებულებების საფუძველზე.

მუხლი 6. მიკროსასესხო ორგანიზაციის სახელწოდება

1. მიკროსასესხო ორგანიზაცია გამოიყენებს მხოლოდ თავისი წესდებით დადგენილ სახელს (ან წესდებით დადგენილ აბრევიატურას).

2. მიკროსასესხო ორგანიზაცია თავისი სახელის სრულად დასახელებისას გამოიყენებს აღნიშვნას მიკროსასესხო ორგანიზაცია და მოკლედ დასახელებისას აბრევიატურას მსო.

3. მიკროსასესხო ორგანიზაციის მიერ თავის სახელში სიტყვების ბანკი, სახელმწიფო, ეროვნული, ცენტრალური, დაზღვეული, გამოყენება მთლიანად თუ ნაწილობრივ, ნებისმიერ ენაზე თუ ნებისმიერი კომბინაციით აკრძალულია.

4. სახელის შეცვლის შემთხვევაში, მიკროსასესხო ორგანიზაციამ გონივრული ვადის, მაგრამ არაუმეტეს ერთი თვის განმავლობაში მასშედის საშუალებით გალდებულია გააკეთოს შესაბამისი განცხადება.

5. ტერმინი მიკროსასესხო ორგანიზაცია ან აბრევიატურა მსო ან ამ ტერმინთან სიტყვათა კომბინაცია შეიძლება გამოყენებული იქნას იურიდიული პირის სახელში და სარეკლამო მიზნებისათვის მხოლოდ მიკროსასესხო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ფუნქციონირებენ ამ კანონის საფუძველზე.

მუხლი 7. მიკროსასესხო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და მართვა

1. მიკროსასესხო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და მართვა ხორციელდება ამ კანონისა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

2. მიკროსასესხო ორგანიზაციას მართავს გამგეობა. ცალკეულ შემთხვევებში ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შეიძლება დაეკისროს სპეციალურ წარმომადგენლებს წესდებით დადგენილ ფარგლებში.

3. მიკროსასესხო ორგანიზაციის გამგეობისა და სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნის, გამოწვევისა და კონტროლის მიზნით, აგრეთვე წესდებითა და სამოქალაქო კოდექსით მათთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების განსახორციელებლად ფონდის დამფუძნებლები საგაყვანილობა წესით ქმნიან სამეთვალყურეო ორგანოს (კურატორიუმს).

მუხლი 8. რეორგანიზაცია

1. მიკროსასესხო ორგანიზაციის რეორგანიზაცია ხორციელდება სამოქალაქო კოდექსით ფონდებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

2. რეორგანიზაციის შემთხვევაში ზიანი არ უნდა მიადგეს მიკროსასესხო ორგანიზაციის მსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს.

3. არ უნდა შემცირდეს მიკროსასესხო საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი ქონების ოდენობა.

4. მიკროსასესხო ორგანიზაციის სულ მცირე ერთმა უფლებამონაცვლემ უნდა შეინარჩუნოს მიკროსასესხო ორგანიზაციის მიზანი. მიკროსასესხო ორგანიზაციის რეორგანიზაცია შერწყმისა ან მიერთების ფორმით დასაშვებია მხოლოდ ანალოგიური მიზნების მქონე ორგანიზაციასთან.

მუხლი 9. ლიკვიდაცია

1. მიკროსასესხო ორგანიზაციის ლიკვიდაცია ხორციელდება სამოქალაქო კოდექსით ფონდებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ლიკვიდაციისას ქონებაზე უფლებამოსილი პირები განისაზღვრება წესდებით.

თავი III.

მიკროსასესხო ორგანიზაციის ქონება

მუხლი 10. ქონების წყაროები

მიკროსასესხო ორგანიზაციის ქონების შექმნის წყაროებია:

- ა) დამფუძნებლის შესატანი (გადაცემული ქონება);
- ბ) გრანტები;
- გ) შემოწირულობები;
- დ) ქონების გამოყენებით მიღებული შემოსავლები;
- ე) მიღებული სესხები;
- ვ) ამ კანონით განსაზღვრული საქმიანობით მიღებული შემოსავლები;

მუხლი 11. ლიმიტი საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებაზე

1 მიკროსასესხო ორგანიზაციას აქვს ინვესტიციების განხორციელების უფლება მხოლოდ ქონების არაუმეტეს 20 პროცენტის ოდენობით.

2. მიკროსასესხო ორგანიზაციის კუთვნილი წილის (აქციების) ოდენობა ერთი სამეწარმეო იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში არ უნდა აღემატებოდეს 5 პროცენტს.

3. ამ მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით განსაზღვრული პირობების დაცვით განხორციელებული საინვესტიციო საქმიანობა არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას.

თავი IV.

მიკროსასესხო ორგანიზაციის სასესხო და მასთან დაკავშირებული საქმიანობა, მიკროსესხების ადმინისტრირება, ურთიერთობა მსესხებელთან

მუხლი 12. მიკრო-სასესხო ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს:

- ა) პოტენციური დონორების მოძიებას;
- ბ) სოციალური გარემოსა და ბაზრის შესწავლა-გამოკვლევას;
- გ) მსესხებელთათვის სასწავლო პროგრამების განხორციელებას და საკონსულტაციო მომსახურებას;
- დ) მსესხებლის სასესხო წინადადებების საფუძველზე მიკროსესხების გაცემას (სესხებას) და მეთვალყურეობას მათ განხორციელებაზე;
- ე) ამ კანონით განსაზღვრული პირობების დაცვით განხორციელებულ საინვესტიციო საქმიანობას;
- ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა არასამეწარმეო საქმიანობას.

მუხლი 13. მიკროსასესხო ორგანიზაციის საქმიანობის პრინციპები

1. მიკროსასესხო ორგანიზაციის საქმიანობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- ა) მიზნობრიობა მიკროსასესხო ორგანიზაციის ქონების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მისი მიზნების განხორციელებლად. სხვა მიზნისათვის მიკროსასესხო ორგანიზაციის სახსრების გამოყენება დაიშვება მხოლოდ მისი გაყოფა-გამოყოფის შემთხვევაში. მიზნის შეცვლა უნდა მოხდეს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
- ბ) გადაწყვეტილებების მიღების დამოუკიდებლობა;
- გ) პროგრამული, საფინანსო და საგადასახადო ანგარიშგების გამჭვირვალობა და საჯაროობა;

დ) მიკროსასესხო პორტფელის დივერსიფიცირების პოლიტიკის პრინციპები განისაზღვრება მიკროსასესხო ორგანიზაციის წესდებით დაან მიკროსასესხო ორგანიზაციის დამფუძნებლების ან კურატორიუმის მიერ დამტკიცებული სესხების პოლიტიკით.

2. სასესხო წინადადებების შეფასებისას მიკროსასესხო ორგანიზაცია ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ეფექტიანობის, მდგრადობისა და რისკის გონივრულობის პრინციპებით.

მუხლი 14. მიკროსასესხო საქმიანობის შეზღუდვები

მიკროსასესხო საქმიანობის განხორციელებისას მიკროსასესხო ორგანიზაციას ეკრძალება:

- ა) მიიღოს ანაბრები და დეპოზიტები სათანადო ლიცენზიის გარეშე;
- ბ) გასცეს გრანტი კურატორიუმის მიერ დამტკიცებული პროცედურის გარეშე;
- გ) აიღოს სესხი ან დატვირთოს ორგანიზაციის ქონება ნებისმიერი ვალდებულებით

კურატორიუმის გადაწყვეტილების გარეშე, რომელიც უნდა დამოწმდეს ნოტარიალურად. ასეთი გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა განისაზღვროს მიკროსასესხო ორგანიზაციის წესდებით.

დ) მიმდინარე დაბანდება ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს საქართველოში კანონმდებლობით განსაზღვრული წლიური საარსებო მინიმუმის სამმაგ ოდენობას. ერთ მსესხებელზე მიმდინარე დაბანდების გაანგარიშებისას გამოიყენება უკანასკნელი კალენდარული წლის გამოქვეყნებული წლიური საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი.

ე) მიმდინარე დაბანდება ინსაიდერებისათვის გაცემულ მიკროსესხებში არ უნდა აღემატებოდეს მიმდინარე საერთო სასესხო დაბანდების 5 პროცენტს.

ზ) მიკროსასესხო ორგანიზაციის თანამშრომლისათვის მიცემული სესხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის გაცემის დღიდან მისი შრომის ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლომდე პერიოდში მისაღებ ანაზღაურებას, ხოლო თუ შრომის ხელშეკრულება დადებულია უვადოდ შრომის ანაზღაურების წლიურ ოდენობას.

მუხლი 15. მიკროსესხის ოდენობა, ვადა და უზრუნველყოფა

მიკროსესხის ოდენობა, მისი დაბრუნების ვადა და წესი, აგრეთვე მიკროსესხის უზრუნველყოფის საკითხი განისაზღვრება მიკროსასესხო ორგანიზაციისა და მსესხებელს შორის დადებული ხელშეკრულებით, ამ კანონის, სესხების პირობებისა და საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 16. ვადაზე ადრე დაბრუნება

მსესხებელს უფლება აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაბრუნების ვადაზე ადრე ნებისმიერ დროს დააბრუნოს სესხი. ვადაზე ადრე სესხის დაბრუნების წესი განისაზღვრება სესხების პირობებითა და მიკროსასესხო ხელშეკრულებით.

მუხლი 17. საპროცენტო განაკვეთი და უზრუნველყოფა

1. მიკროსასესხო ორგანიზაციას მსესხებლის თანხმობით შეუძლია განსაზღვროს:

- ა) მიკროსესხების საპროცენტო განაკვეთი მიკროსესხის ოდენობის, ვადის, ადმინისტრირებისა და სამეურნეო ხარჯებისა, მსესხებლის სასესხო ისტორიის და რისკის, გათვალისწინებით. მიკროსესხის საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს გონივრულ შესაბამისობაში საბაზრო სასესხო განაკვეთთან.
- ბ) მიკროსესხის უზრუნველყოფის საშუალება შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 18. მიკროსასესხო ხელშეკრულება

1. მსესხებელსა და მიკროსასესხო ორგანიზაციას შორის ურთიერთობა ხორციელდება წერილობითი მიკროსასესხო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც იდება სესხების პირობების, ამ კანონის დებულებათა, სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. მიკროსასესხო ორგანიზაციისა და მსესხებლის მიერ მიკროსასესხო ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა შესწორება და დამატება წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. მიკროსასესხო ორგანიზაციას არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს მსესხებლთან დადებული მიკროსასესხო ხელშეკრულების პირობები, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. მიკროსასესხო ორგანიზაციისა და მსესხებელს შორის სასესხო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს, შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე, ან სასამართლოს.

მუხლი 19. სესხების პირობები

1. მიკროსასესხო ხელშეკრულების გაფორმებამდე მსესხებლისთვის და ასევე ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი იქნება მიკროსასესხო ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობისა და სესხების ყველა პირობა.

2. სესხების პირობებს ამტკიცებს მიკროსასესხო ორგანიზაციის კურატორიუმი ორგანიზაციის საქმიანობის პრინციპების საფუძველზე.

3. სესხების პირობები უნდა ითვალისწინებდეს მსესხებლის სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას.

მუხლი 20. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

მიკროსასესხო ორგანიზაციის ყველა ხელმძღვანელი პირი და თანამშრომელი:

ა) თავისი მოვალეობების შესრულებისას უნდა მოქმედებდეს მიკროსასესხო ორგანიზაციის ინტერესებიდან და არა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა ემსახურებოდეს მიკროსასესხო ორგანიზაციის მიზნებს და გაუფრთხილდეს მის ქონებას, უნდა იღებდეს გონივრულ და მიზნობრივ გადაწყვეტილებებს.

ბ) შეიძლება იყოს საქართველოში მოქმედი მხოლოდ ერთი მიკროსასესხო ორგანიზაციის გამგეობის წევრი, სპეციალური წარმომადგენელი ან თანამშრომელი. ეს შეზღუდვა არ ეხება კურატორიუმის წევრებს;

გ) არ შეიძლება ერთდროულად ეკავოს ხელმძღვანელი ან ნებისმიერი სხვა თანამდებობა სხვადასხვა სხვადასხვა სხვადასხვა ორგანოში, მათ შორის ადგილობრივი თავითმმართველობისა და მმართველობის ორგანოში;

დ) ეკრძალება მონაწილეობა მისთვის ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მასთან ურთიერთდამოკიდებული პირებისათვის სესხის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მუხლი 21. შეზღუდვა დამატებითი სასესხო ვალდებულებაზე

მსესხებელი ვალდებულია მიიღოს კონტრაქტორი მიკროსასესხო ორგანიზაციის თანხმობა მის მიერ ნებისმიერი დამატებითი მატერიალური ვალდებულებების აღებამდე.

მუხლი 22. კონფიდენციალური ინფორმაცია

1. მიკროსასესხო ორგანიზაციას, მის დამფუძნებლებს, გამგეობისა და კურატორიუმის წევრებს, აღმასრულებელ ბირს, მომსახურე პერსონალს და აგენტებს აკრძალული აქვთ სხვა მიზნებისთვის გამოიყენონ ან მიაწოდონ მესამე მხარეს ინფორმაცია, რომელიც მათ ანდეს ან რომელიც მისაწვდომია მათთვის მიკროსასესხო ორგანიზაციასა და პოტენციურ, მიმდინარე თუ ყოფილ მსესხებელს შორის ურთიერთობებიდან გამომდინარე მათი ნებართვის გარეშე. აკრძალვა ეხება ასევე ყველა ფიზიკურ და იურიდიულ ბირს, რომელსაც უზრუნველყოფს მიკროსასესხო ორგანიზაცია შესაბამისი მომსახურებით, იმის მიუხედავად, სარგებლობენ თუ არა ისინი მიკროსასესხო ორგანიზაციის მიკროსესხებით.

2. პირველ ბუნქტში განსაზღვრული აკრძალვები და შეზღუდვები არ გამოიყენება, თუ ინფორმაციის მიმღები პირი კანონმდებლობით უშუალოდ განსაზღვრული წესით მოვალეა განაცხადოს ეს ინფორმაცია.

3. კონფიდენციალურ ინფორმაციას არ წარმოადგენს ერთი მიკროსასესხო ორგანიზაციის მიერ სხვა მიკროსასესხო ორგანიზაციისათვის მსესხებლის საკრედიტო ისტორიის შეფასების გაზიარება. მიკროსასესხო ორგანიზაცია მსესხებლის საკრედიტო ისტორიის შეფასებას ახდენს სამბალანო სისტემით და გამოსახავს ციფრებით: 1, 2 ან 3.

შეფასება 1 ნიშნავს სანდო და დისციპლინირებულ მსესხებელს;

შეფასება 2 ნიშნავს ნაკლებად სანდო და ნაკლებად დისციპლინირებულ მსესხებელს;

შეფასება 3 ნიშნავს არასანდო მსესხებელს;

თავი V.

მეთვალყურეობა გაცემული სესხების რეალიზაციაზე და შეფასების სისტემა

მუხლი 23. მეთვალყურეობა მიკროსასესხო ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხების რეალიზაციაზე

1. მიკროსასესხო ორგანიზაცია უფლებამოსილია განხორციელოს მეთვალყურეობა მის მიერ გაცემული სესხით განხორციელებულ საქმიანობაზე სესხების პირობებისა და სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად. მეთვალყურეობის მიზანია დაადგინოს, თუ რამდენად შეესაბამება მსესხებლის საქმიანობა მიკროსასესხო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებულ სასესხო წინანდადებას.

2. სასესხო წინანდადებასა და მსესხებლის საქმიანობას შორის არსებითი სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში მსესხებელი მოვალეა ახსნას, თუ რა მიზეზებმა განაპირობა სასესხო წინანდადებიდან გადახვევა.

3. სასესხო წინანდადებასა და მსესხებლის საქმიანობას შორის ისეთი არსებითი სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც ზრდის სესხის არდაბრუნების რისკს, მიკროსასესხო ორგანიზაციის უფლება აქვს გამოიყენოს სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული სანქციები, მათ შორის: შეუჩეროს მსესხებელს სესხის მორიგი ნაწილი, მოითხოვოს მსესხებლისაგან უმოკლეს ვადაში დაუბრუნდეს სასესხო წინანდადებით განსაზღვრულ საქმიანობას ან მოითხოვოს სესხის ვადაზე ადრე დაბრუნება.

მუხლი 24. მიკროსასესხო ორგანიზაციის საქმიანობის

მონიტორინგი და შეფასება

1. მიკროსასესხო ორგანიზაციის საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებენ:

ა. დამფუძნებლები წესდების შესაბამისად;

ბ. დონორები ხელშეკრულების ფარგლებში;

გ. იუსტიციის სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მიკროსასესხო ორგანიზაციის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებია:

ა. მსესხებელთა საერთო რიცხოვნობა;

ბ. ორგანიზაციის სესხებით განხორციელებულ პროგრამებში სტაბილურად დასაქმებულ პირთა რაოდენობა;

გ. დადებითი სასესხო ისტორიის მქონე მსესხებელთა წილი მსესხებელთა საერთო

რიცხვში;

ე. ორგანიზაციის სესხებით წარმატებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა;

ვ. მიკროსასესხო ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა;

3. მიკროსასესხო ორგანიზაციის საქმიანობის შეფასების დამატებითი მაჩვენებელია მსესხებელთა

რიცხვი, რომლებმაც შეძლეს საბანკო კრედიტების მოპოვება.

თავი VI.

რეგულირება, კონტროლი და მარეგულირებელი ორგანო

მუხლი 25. რეგულირება

მიკროსასესხო ორგანიზაცია არის თვითრეგულირებადი ორგანიზაცია. არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს მიკროსასესხო ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მუხლი 26. ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგება

1. მიკროსასესხო ორგანიზაცია ფინანსურად ანგარიშვალდებულია მისი დამფუძნებლების, დონორისა და კურატორიუმის წინაშე.

2. მიკროსასესხო ორგანიზაციაში წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს გარე დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმება, რომლის შედეგები ექვემდებარება სავალდებულო გამოქვეყნებას.

3. კურატორიუმი ახორციელებს მიმდინარე კონტროლს და ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე ვალდებულია შეაფასოს მიკროსასესხო ორგანიზაციის მიერ გასულ კვარტალში განხორციელებული საქმიანობა.

4. ფინანსური ანგარიშგების ფორმები განისაზღვრება საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების შესახებ, ხოლო საგადასახადო ანგარიშგების ფორმები - საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

მუხლი 27. კონტროლი

1. მიკროსასესხო ორგანიზაციების საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

2. მიკროსასესხო ორგანიზაციის საქმიანობაზე და ფინანსების მიზნობრივ და ეფექტიან ხარჯვზე კონტროლს ახორციელებს დამფუძნებელი სრული მოცულობით წესდებით გათვალისწინებული წესით, ხოლო დონორი მის მიერ გადაცემული ქონების ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3. მიკროსასესხო ორგანიზაციის შიდა კონტროლი ხორციელდება წესდების შესაბამისად (კურატორიუმისა და გარე აუდიტის მეშვეობით).

თავი VIII.
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 28. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

1. ამ კანონის ამოქმედებიდან ოთხი თვის ვადაში (2003 წლის 1 აპრილამდე) ყველა პირი, რომელიც ეწევა მიკროსასესო საქმიანობას, ვალდებულია ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანოს მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

2. პირები, რომლებიც ეწევიან ამ კანონით განსაზღვრულ საქმიანობას და 2003 წლის 1 იანვრამდე არიან რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროში ფონდის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, ვალდებულნი არიან ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანონ მათი წესდებები.

მუხლი 29. კანონის ძალაში შესვლა

ეს კანონი ამოქმედდეს 2003 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

*პროექტი მომზადებულია ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაცია ოქსფამის
საქართველოს ფილიალის ძალისხმევით.
18 ივნისი 2002*